დანართი # 2

ტექსტოლოგიური კომისიის სამუშაო ინსტრუქცია

1. ტექსტოლოგიური კომისია ვალდებულია სხვადასხვა არქივებში, ბიბლიოთეკებსა თუ კერძო კოლექციებში მოიძიოს:

- ივანე ჯავახიშვილის ყველა ხელნაწერი;
- ივანე ჯავახიშვილის ყველა ნაბეჭდი მასალა;
- ივანე ჯავახიშვილზე არსებული ყველა მასალა (ხელნაწერი, ნაბეჭდი, ფოტო და აუდიო-ვიდეო მასალა);

2. მოახდინოს ივანე ჯავახიშვილის დიგიტალიზებული ხელნაწერი მასალის დამუშავება, რომლის დროსაც დაადგინოს სხვადასვა არქივებსა და სხვადასხვა საქმეებში (საქაღალდეებში) შემთხვევით გაბნეული ფურცლების ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა;

3. ერთმანეთს შეუდაროს მეცნიერის ხელნაწერი მასალების ვარიანტები, დაადგინოს მათი შექმნის ქრონოლოგია და განსხვავებული ვერსიების წარმოშობის პირობები;

4. ამოიკითხოს და გაშიფროს მეცნიერის ხელნაწერებში მოცემული უცხოენოვანი (ძველი სომხური, ძველი სპარსული, ძველი ბერძნული, სირიული, გერმანული, ფრანგული, რუსული და ა.შ.) ციტატები, შეუდაროს ისინი დედანს მათი გადმოწერის სიზუსტის დადგენის მიზნით და გააკეთოს მათი ქართული თარგმანი;

5. შეადაროს ერთმანეთს ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალები, დაადგინოს კითხვა-სხვაობები;

6. მოიძიოს ყველა ის ლიტერატურა, რომელიც მითითებული აქვს მეცნიერს და დამოწმებული ციტატების გადმოწერის სიზუსტე შეამოწმოს. ყოველი ცდომილება აღნუსხოს და ასევე იგივე ციტატები მოიძიოს ამ ლიტერატურის უახლეს გამოცემებებში;

7. განიხილოს ყველა ნაბეჭდი მასალა და აღნუსხოს ბეჭდვისას დაშვებული ცდომილებები;

8. დაადგინოს თითოეული თხზულების ავთენტური ტექსტი, აკრიფოს ელექტრონულად და დაალაგოს ამოპრინტერებული სახით;

9. გააციფრულოს ყველა ნაბეჭდი თხზულება და დაალაგოს ამოპრინტერებული სახით;

10. ყველა შესრულებული სამუშაო სათანადო განმარტებითი ბარათების დართვით, გადასცეს ტომის რედაქტორებს;

11. წარუდგინოს ანგარიში სარედაქციო საბჭოს.